საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №179

თბილისი „11“ 02 2020 წ.

„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის N124 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში სტიპენდიების გაცემის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „თ“, „ლ“ და „ჩ“ ქვეპუნქტებისა და „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის N124 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 31 იანვრის N113253 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის N124 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 32 04 02 06) „დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს“ ქვეპროგრამის (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში, გაიცეს 2020 წლის იანვრის და თებერვლის თვის:

ა) დიმიტრი გულიას სახელობის სტიპენდია ამ ბრძანების დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირებზე;

ბ) კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდია ამ ბრძანების დანართი N2-ით გათვალისწინებულ პირებზე.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტიპენდიების გადარიცხვა ამავე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ დანართებში მითითებული უნივერსიტეტების ანგარიშებზე.

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდამ ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

მიხეილ ჩხენკელი